ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N:36

ქ. მცხეთა 24 მაისი 2019 წელი

ერთის მხრივ, **შპს „მცხეთის სოფწყალი“**, შემდგომში `შემსყიდველი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი გივი იორდანიშვილის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ბრაით ინდუსტრი“** შემდგომში „მიმწოდებელი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის კარენ გევორქიანის სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ფაზური დაცვის რელე PVR-3-380V 3 ცალი – 255 ლარი;
1.2 დროის რელე DH48S-S 220VAC 5 ცალი - 325 ლარი;
1.3 რელეს ბუდე PF-083A 8 ცალი - 44 ლარი;
1.4 კონტაქტორი MC-22b AC220V 50Hz 1a1b 5 ცალი - 300 ლარი;
1.5 თბური დაცვის რელე MT-32 15A 3H 3 ცალი - 120 ლარი ;
1.6 თბური დაცვის რელე MT-32 8.5A 3H 2 ცალი - 80 ლარი ;
CPV31200000 - ელექტროენერგიის გამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურა.

2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 1124.00 (ათას ას ოცდაოთხი) ლარი.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
3.2 ანგარიშწორება მოხდეს სასაქონლო ზედნადების მოსვლის შემდეგ არაუმეტეს 10 დღეში.

4. მხარეთა უფლება–მოვალეობები

4.1 „მიმწოდებელი” კისრულობს ვალდებულებას:
4.2 საქონლის მიწოდება მოხდეს ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.
4.3 „შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას:
4.4 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი“ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს“ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
5.3 შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მომწოდებელს“ არ აუნაზღაუროს საქონლის ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

6.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ფორს–მაჟორი

7.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

8.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. სხვა პირობები

9.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

9.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

9.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

10. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

10.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს შპს „მცხეთის სოფწყალი"-ს მთავარი ინჟინერი თეიმურაზ ოსიშვილი.

11 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი გაფორმების თარიღიდან 2020 წლის 1 მარტის ჩათვლით.

12. მხარეთა რეკვიზიტები

შპს „ბრაით ინდუსტრი"

ს/კ 401 952 348
ა/ნ GE04TB 7589 6360 2010 0001
სს: „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
მის: ქ.თბილისი, აგლაძის ქ. N6
ტელ: 577 775 885

დირექტორი:
კარენ გევორქიანი

შპს „მცხეთის სოფლწყალი"

ს/კ: 436034104
ა/ნ: GE78LB0113162465564000
სს: „ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22
მის: ქ.მცხეთა, აღმაშენებლის N73
ტელ: 2 513-588

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი:
გივი იორდანიშვილი

LLC Village water of Mtskheta

Digitally signed by LLC Village water of Mtskheta
Date: 2019.05.24 11:21:25 +04'00'

ქ. მცხეთა 24.05.2019 წ.

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტისარარსებობის შესახებ

ვადასტურებ, რომ შპს „მცხეთის სოფწყალი“-ს მიერ 2019 წლის 24 მაისს შპს „ბრაით ინდუსტრი“-სთან გაფორმებული N36 ხელშეკრულებით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

შპს „მცხეთის სოფწყალი“-ს
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი: **გივი იორდანიშვილი**